

1
1058

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 19

თბილისი ოცობები

1958



გამოცემის XXXVI წელი უბი 2 მან.

ნაბ. დ. გრიშაძე

ბიაროკაში საკანსიო მანუალები

— რაო, თბილისი ათას სუთახი წლიხა ვახდაო?
არაფერი არ ვიცი მე, ცნობა წარმოიღვინოს, იხე პენ-
სიას ვერ დაუწიწნაგ.

მისწოდებული პიროვნებებისათვის

წლოვანებას ნუ იკლებ, ვერ მომატეუბ, შენ რომ მოდიოდი, მე მივდიოდი.
ყოველგვარ ასაკს გადაცილებული მცხეთა

გილოცავ, მისხარია, გიერთდები.

რუსთავი

გილოცავ დაბადების დღეს მოზღვაებული გრძნობით.

სამგორი

რაც გულში ჰაფი ქვა მიდევს, სულ ამოვიღებ, რადონდ შენ იდღეგრძელე, ჩემო თბილისო.

ჭიათურა

შენი იუბილე ჰაფი ზღვის ნაწირას გავიგე და ავლელდი.

ბათუმი

გილოცავ დაბადების დღეს და ზღვის დონეზე დაბლა ვხრი თავს პატუვისცემის ნიშნად.

ფოთი

ისე მისხარია, კაციძვილი ვერ გაიგებს რას ვბუტბუტებ, ვისთვის რას ვიტყვი.

მტკვარი

მიმილოცავს, ჩემკან ჯვარი გწერია.

ჯვარი

არასოდეს დაგრქმეოდეს ჩემი სახელი.

ნაჭალაქიზი

ჩვენზე პაუზიროკო თხზი



თბილისის 1500 წლისთავთან დავაშორებით ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს ტაშის გრიალსა და ქუხილში, ვაშას ძახილსა და სტვენაში გადაეცეს სპეციალური საიუბილეო თახი:

● თბილისის მაცვივრის მუშაკებს აუტანელი სიცხის ატანისათვის, რომ თავს მაცივარში, სადაც ტემპერატურა ყოველთვის 0°-ზე დაბალია, თავს მაინც თბილად გრძნობენ.

● თბილისილბოსტანვაჭრობას მარჯვენა და მარცხენა ხანაპიროსი, ამ შემთხვევაში სულ ერთია, საკომპიუტერეო ბაზრებს რომ არ ეჯობებინან და კონკურენციას არ უწევდნენ, ხანმოულოდ რომ იცავენ წესრიგსა და სისუფთავებს, მუშაობასა და ვაჭრობაში ახალი მეთოდის დანერგვისათვის, რაც გამოიხატება დახლებში ხილის ჩირად გადაქცევაში: ხოლო საწყობებში ბოსტნეულის მინერალურ სასუქებად გადაქცევაში, ზოგ შემთხვევებში მყიდველს რომ დამალი და ძველი ჭკონი.



● თბილისიანალიზაციის ტრესტს დავიწყებული მიღების ჩასაყრელად თბილისის შესანიშნავად მოასფალტებული ქუჩების გადათრისათვის და ამით მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის (სიმალღეზე ხტომა, სიგრძეზე, კოკით ხტომა) ფართოდ გაშლისა და დანერგვისათვის.

● სასაფლაოთა მეურნეობის ტრესტს იმისათვის, რომ იგი იჩენს უადრესად კეთილშობილურ გულისამაჩუქებელ კაცთმოყვარულ გრძნობებს და მტკიცედ იცავს პრინციპს „ადამიანი უკვდავია“, რომლის მიხედვით მისი დამარხვა არ შეიძლება და თუ ეს ხანდახან აუცილებელია, დაიმარხოს ზორს, სადაც დაკარგულში, რათა ადამიანის მჯერა არ მისწვდეს მას. ხოლო კირისუფალი დაჯარიმებული იქნეს განსვენებულის მიმართ უყურადღებობისათვის და მისი მოუვლელობისათვის. გადაეცეს ნიანგის სპეციალური საიუბილეო თახი წარწერით: „ჩამორბინე შენ ჩემ საფლავეზე“.





„ნიანგის“

გაფართოებული
კრების დადგენილება
(თბილისის 1500 წლისთავ-
თან დაკავშირებით)

1. ფუნქციონირის საპერო-
საბაგირო გზის ვაგონზე შე-
ხტომა-ჩამოხტომისათვის და-
წესდეს შეღავათიანი ჯა-
რიმა.

2. ყველა ვახტანგს—მათ
შორის—ვახტანგ ჭაბუკიანს,
ვახტანგ ტაბლიაშვილს, ვახ-
ტანგ ფალიაშვილს, ვახტანგ
ბალაქაძეს და სხვ. ნება და-
ერთოს ხოხობზე ნადირობა
წელიწადის ყოველ დროს.

3. გამოთქმა: «ათასჯერ
ავუსენი და მაინც ვერაფე-
რი გაიგო», შეიცვალოს გა-
მოთქმით: «ათასხუთასჯერ
ავუსენი და მაინც ვერაფე-
რი გაიგო».

4. თბილისის «დინამოს»
ფეხბურთელთა თამაშის დო-
ნე გამოთვლილი იქნეს თბი-
ლისის ზღვის დონიდან.

5. მმარის ბიუროებში გა-
მოიკრას განცხადება: «ქა-
ლაქის საიუბილეო დღეებში
დაბადებულ ბავშვებისათვის
«იუბილეს» ან «თბილისის»
დარქმევა სანსტიკად აკრძა-
ლულია».


6. იუბილეს დღეებში ამი-
ნდის ბიურომ გამოაცხადოს:
«გადაუღებელი წვიმები, ელ-
ვა-ქუხილი და ქარიშხალი»,
რათა ზეიმს მზიანი ამინდე-
ბი დაესწროს.

ოქმი ჩახწერა სწავლულმა
მდივანმა

ოთხთა ალფაიძე



ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა ძეგლები, რომლებიც ახლო მომავალში
დაიდგმება თბილისში.



სხვისა არ ვიცი და მე კი ძალიან მიყვარს გემრიე-
ლად შემზადებული კერძი, არ შემოძლია გულგრილად
ვიყნოსო ხმელი სუნელისა და ახალი მწვანის სურნე-
ლება. მართალია, ჩვენ რამშტექისა და ბიგშტექის ებო-
ქაში ცხოვრობთ, მაგრამ ევოლუციის ყოვლის მძლე კა-
ნონს, რა თქმა უნდა, არც რამშტექსი და არც ბიგშტექსი გა-
დაურჩებოდა. ასევე დაემართა მწვადსაც, უძველესი დრო-
იდან მწვადი კეთდებოდა სუკისაგან. დროთა ვითარება-
ში კი იგი შეიცვალა შუაზე გაჭრილი პამიდორით, მწვა-
ნილითა და ძვალ-მყესოვან-ძარღვოვანი სისტემით.

მრავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, სარკოფაგებისა
და სამარხების შესწავლამ დაადასტურა ვერსია იმის შე-
სახებ. რომ ადამიანები უსსოვარი დროიდან საკვების
მიღებას ეწეოდნენ და რომ, საერთოდ ადამიანს ჭამის
გარეშე არსებობა არ შეუძლია. ამრიგად, გამოდის, რომ
ადამიანისა და საკვების ისტორია ერთი მთლიანი რგოლია.

ყველა ერს თავისი საკუთარი კულინარია გააჩნია. სა-
ქართველოშიც კი ყველა კუთხეს თავისი საკუთარი სა-
კვები აქვს. მაგალითად მთიან რაიონებში (თუშეთი, ფშა-
ვი, ხევსურეთი) უფრო გავრცელებულია მწვადი და ხინკა-
ლი, სასმელებიდან კი—ლუღი და ჟიბიტაური: გური-
ისამეგრელოში—ლომი, სულგუნი, სასმელებიდან—ადესა
და სანთლის არაყი, იმერეთში—საცივი, ეკალა, ფხალი
და, შაქრისაგან დაყენებული ღვინო, რაჭაში—ლორი, ბა-
ჭულეები და ხაში. სასმელებიდან ჯერ კიდევ შემორჩე-
ნილია ნატურალური ღვინო.

თბილისი კი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, უნ-
და წარმოადგენდეს ქართული საკმელების ერთგვარ გალე-
რეას. გაუგებარი მიზეზით თბილისის რესტორნების პი-
რისაგან მენიუთა ზედან აღიგავა ქართული კერძების სა-
ხელები. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ჯერ
კიდევ გვხვდება ჩიხირთა და ბოზბაში, არტალა და

თართი და მათი პირველადობის საკითხი (იხ. «კაცია ალა-
მიანი?»)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევოლუციის განიცდის ყვე-
ლაფერი და კერძოდ კერძიც. ჩვენ განსაკუთრებით შევ-
ჩერდებით ჩახოხბილზე. როგორც წმიდა თბილისურ კერ-
ძზე და ველდებით გავარკვიოთ მისი ისტორია.

ჩახოხბილი უნდა წარმოშობილიყო მეხუთე საუკუნე-
ში. ვახტანგის მეფობის დროს თბილისის მიდამოებში.
გოგირდის აბანოებთან.

ლევენდა ყველასათვის ცნობილია, რომ ვახტანგ
მეფეს ისარი უტყორცნია ხოხბისათვის. რომელიც
ჩაეარდნო ადუღებულ წყალში და ჩახოხ-
ბილა. არსებობს ლევენდის გაგრძელება. ვითომ ეს მო-
ხარშული ხოხობი ბაზიერს უბოძებია მზარეულთუხუცესი-
სათვის, მას აუხლეჩია ბარკალი და მიურთმევდ. რო-
მელიც ამებია ფრიად. და აი წარმოიშვა პრიმიტიული
რეცეპტი ჩახოხბილისა, შემდეგ კი თანდათან. პირის
გემოს მიხედვით, მიუმატებიათ სხვადასხვა ბოსტნეული.
მაგრამ ხოხობი, როგორც ჩახოხბილის არსი და კრიტე-
რიუმი. დარჩენილა უკანასკნელ დრომდე. მაგრამ შემ-
დეგ ხოხობი თანდათან შეცვლილა ჯერ ქათმით. შემდეგ
იხვით და ბოლოს თხითაც კი. მაშასადამე, ჩახოხბილი
წარმოიშვა თბილისის დაარსებასთან ერთად. ე. ი. იგი
1500 წლისა ყოფილა.

ახლა უკვე გასაგებია თუ რა დიდია ინტერესი ხოხ-
ბის ჩახოხბილის მიმართ. ამიტომ თუ თბილისის 1500
წლისთავზე რომელიმე თბილისის რესტორანში ნაპდვილ
ჩახოხბილს დაამზადებენ, იგი იქნება არა მარტო სასია-
მოვნო კერძი. არამედ ისტორიული რელიკვია.

გ. ხოხობაძე



ზოგჯერ ზრთოსანი გაგითავი იქცევი

რეკლამა რომ თამარ მეფის შურაცხმყოფელი წიგნი მოსწერა, ზაქარია მხარგრძელს ვეღარ მოუთმენია და ისეთი ალიყური უშვევია ელჩისათვის, რომ იგი გულადმა გადავარდინა, ის ხუთი თითი კი ლუჯაზე დაღოთ დასრენია. შემდგომ ის ელჩი მხარგრძელს შეხვედრია და უკითხავს:

- თუ მიცნობ ვინა ვარო?
- როგორ არა, ჩემი ხუდი თითივით გიცნობო, — უთქვია მხარგრძელს.

აქედან მოდის, თურმე, თქმა «ხუთი თითივით გიცნობო».



ამბობენ ჯალალედინს, თბილისის დარბეის შემდეგ რომ უკან ბრუნდებოდა, გზად დასძინებია და ძალიან საინტერესო სიზმარი უნახავს. საუბედროდ დაძინებული ჯალალედინი ქუთ მწვემს მოუღვას და ეს საინტერესო სიზმარი ისტორიისათვის უცნობი დარჩა. სამაგიეროდ ამის შემდეგ ჯალალედინს თბილისი სიზმრადაც არ უნახავს. აქედან წარმოსდგა თქმა «სიზმრადაც ვერ ნახავო».



თე მურ ღე ნკ სთილი-სთან ბრძოლაში ის კოვლი ფეხი უტყენია. დახვევიან მკურნალი და ვერა გაუწყვიტა რა. მაშინ დატყვევებული ქართველი მკურნალი მოუყვანიათ, დაუდია მალამო მოტეხილზე ქართულ ტყვეს, დაამებია თერეს და უბრძანებია:

- ისე მტკიოდა, მოკვდებოდი მეგონაო.
- ტყუენის მკურნელი ხარ და ეგ როგორ არ იცოდი, რომ ძალი კოვლით არ მოკვდებოდა. — უთქვამს ქართველ მკურნალს.




ღეგან ბატონიშვილი ჩაღმაზე ფარშავანისფრითან ყიზლბაშს შეხვია, ყიზლბაშს ხმალი გადაშესვრევია. შეკოდებია ბატონიშვილს, მოუტყევია შემწვარი ყიზლბაშისათვის ხმალი და თავის ნაცყად ის ფარშავანის ფრთა მოუტყვია. იქვე მდგომ იმერელ მეომარს აუღია ის ფრთა, მიუწოდებია ყიზლბაშისათვის და უთქვამს:

- გაუტყე ახლა და შენი ბურღა არ დევინაო აქეთ.

აქედან წარმოსდგარა ფრთისანი გამოთქმა «შენი ბურღა არ დევინაო».

მეფე ერეკლეს ისეთი სიძლიერითა და სისწრაფით შემოუკრავს ხმალი კოხტა ბელადისათვის და მოუტყვია თავი, რომ თავი ადგილიდან არ დაძრულა, ისევე დარჩენილა მხრებზე. შემორბეს გაკვირების ძაბილი აღმოხდენიათ, პატარა კახა კოხტა ბელადს ხმალი დააცილაო. თვით კოხტა ბელადსაც ასე ჰგონებია, გაუცინია კიდევაც და ერეკლესათვის გადმოუძახია — დამაცალე, ვიკურო? ხმალიც მიჭირავს და თავიც მაზაო. მერე ცხენისთვის დეზი უკრავს, ცხენი რომ გაშტატა, კოხტა ბელადის თავი ტანს მისცილდება.



იქვე მყოფ მეომარს უხუმრია მაშინ «შენც იტყვი რაღა თავი მზიბაო».

ნახავ მარა მოხდეს, რომ...



ღენიანგადღები თბილისურ ხაზარს



ჩეხს თბილისურ ტულუგებს



ჩიგელები თბილისურ ავიჯს

თბილისი თავისი არსებობის 1500 წლისთავს დღესასწაულობს. ზეერი თბილისელი მშენებელი სიამაყის გრძნობით დააბოტებს მშობლიური ქალაქის ქუჩებში, მაგრამ თბილისის მშენებლებიდან ყველა ხომ დედაქალაქში არ ცხოვრობს. ამიტომაც მათი ღვაწლის გამოსამ-

ხიერ, მაგრამ კანონი აბა რისთვისაა თუ მას არ დაარღვევენ. ჰოდა, რაკი ითავა, ასფალტ-ბეტონის ფენილის მოსაგებად თბილისის ასფალტ-ბეტონის ქარხნიდან, რომელიც რაღაც ასიოდ მეტრითაა დაშორებული მაუდ-კამვოლის კომბინატიდან, და წყალტუბოდან კი, თქვენც კარ-

ნისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა ვ. ხომეზურაშვილმა, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, ნება დართო წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორას 1957 წ. ტრესტ «საქმდროენერგომშენის» გუმბათების მშენებლობის კაშხალისათვის ეწარ-

ყუთების დამამზადებელი მუშათა ბრიგადა გადაეყვანა წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის განკარგულებაში. მათვე გადასცა ქარხნის სარემონტო-სამშენებლო სამაშრო მექანიკური და ნახევრადმექანიკური დაზგებით. მოიქცა დიდსულოვნად და მანქანა - დანადგარების

სამშენებლო

ზეურებლად ჩვენ განვიზრახეთ მოვიკიდოთ კალამს ხელი და მანამდე არ გავუშვათ, სანამ მკითხველს ამ სადღესასწაულო დღეებში ყველაფერს არ მოვახსენებთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მესვეურებმა (დირექტორი თუ შიშვილი) გადაწყვიტეს კომბინატის ტერიტორიაზე მოეგოთ ასფალტ-ბეტონის ფენილი. სარემონტო სამუშაოების სამეურნეო წესით შესრულებას კომბინატის ხელმძღვანელობამ თავი აარიდა და ეს სამუშაო საიჯარო წესით შესასრულებლად გადასცა წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორას, რომ იტყვიან, კაცს მამის სული გაეშვა და მამინაცვლისას ფიცულობდაო, ისე.

წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორა (ყო-

ვად მოგვხსენებათ, გამოიტანა 1255 ტონა ასფალტ-ბეტონის მასა და სამუშაო შეასრულა. ახლა იკითხავენ სამუშაო ხომ შესრულებულია და რა დიდი ამბავი მოხდა, ვიღაც გადამთიელი შეასრულებდა თუ ადგილობრივ თბილისელებიო. დიდი არაფერი არ მომხდარა. საქმე უბრალოდ გარიგდა: წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის ყოფილ სამუშაოთა მწარმოებელმა სალიხიანმა შეადგინა მუშათა განრიგი. სადაც აღნიშნა, რომ 21 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე ასფალტ-ბეტონის ფენილი დაგებულია ასფალტ-ბეტონის მასის ადგილზე კუსტარული წესით, ე. ი. მუშების მიერ ხელით დამზადების შედეგად, რაც საფუძვლად დაედო 39 ათასი მანეთის ნაცვლად 142 ათასი მანეთის გაცემას ანუ 103

მოებიანა საჭირო გრანიტის ქვის დამზადება. მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება.


წყალტუბოელებმა აქაც ისახელეს თავი. სამუშაოები შეასრულეს მშენებლობის უახლესი ტიპის მექანიზმებით, ხოლო კანტორის მუშათა განრიგებებში იგი ხელით შესრულებულად გააფორმეს. რა გამოვიდა აქედანო, იკითხავენ. კაცი არ უნდა დაწვრილმანდეს, აბა რაღაც ოთხასი ათასი მანეთი რა სახსენებელია.

წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო რაიონულ კანტორას „როგორც გამონაკლისი“ 1957-58 წლებში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაავალეს ყუთების დამზადება. მუშაობაში დანერგილი წინანდელი გამოცდილების მიხედვით აქაც საქმე აქურში მოიყვანეს

გაცვეთის, ელექტროენერგიის, წყლისა და კომუნალური მომსახურების ხარჯები წყალტუბოელთაგან არ მოუთხოვია.

წყალტუბოელებზე კიდევ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, მაგრამ ისინი მარტონი არ არიან, სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების სარემონტო-სამშენებლო კანტორამ მარტო ხელფასის ფონდი გადახარჯა 349 ათასი მანეთის რაოდენობით, ეს კანტორა მოემსახურა რესპუბლიკის 13 რაიონს, სადაც შეასრულა იმაზე მეტი სამუშაო, ვიდრე თავის საკუთარ რაიონში.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების გარეუბნის აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო კანტორამ მარტო 1957 წელს მუშათა ხელფასის ფონდი გადახარჯა 591 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო



ფილი უფროსი შარაშენიძე), რომელმაც ასეთი საქმე ითავა, და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, არა პირველად და არც უკანასკნელად, თუმცა რაიონს გარეთ სამუშაოების ჩატარება ყველა რაიონულ კანტორას მთელი სისასტიკით ჰქონდათ და აქვთ აკრძალული ყოფილ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და ახლა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს

ათასი მანეთით მეტისა. მუშაობაც ასეთი უნდა. აი როცა შორიდან ჩამოსულები ასრულებენ სამუშაოს, სახელმწიფოს როგორ იაფად უჯდება, ამხანაგო თუშიშვილო.

ახლა თბილისის იუბილეზე და იმის მშენებლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, თორემ იმასაც ვიტყვოდი, რომ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ყოფილი სამი-

და წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო კანტორამ ზესტაფონის ქარხნიდან მიიღო 1. 282. 000 მანეთი კუთვნილი 643. 000 მანეთის ნაცვლად ანუ 639 ათასი მანეთით მეტი.

ერთი საგულისხმო ფაქტი აქვე უნდა აღვნიშნოთ. ზესტაფონის ქარხანა წინათ თვით ამზადებდა აღნიშნულ ყუთებს, ხოლო 1957 წლის 25 მარტის № 70 ბრძანებით

1958 წლის პირველ კვარტალში — 79. 000 მანეთი.

თბილისელი მოქალაქენო და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებო, ისარგებლეთ წყალტუბოსა და სამტრედიის რაიონების სარემონტო-სამშენებლო კანტორების მომსახურებით.

წყალტუბოელებო და სამტრედიელებო, ელოდეთ სანამ თქვენი კანტორები მანდ რაიმეს აგიშენებდნენ.

ე. შეხი.

თბილისის გეოგრაფიული ლექსიკონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაღმართი — აკადემიის გაანგარიშებით თბილისში თითქმის იმდენია, რამდენიც აღმართი.

ზოოპარკი — შესვლა 2 მანეთი ღირს, სამაგიეროდ გამოსვლა უფასოა.

კუკია — მაშინაც რომ ნახავს კაცი, როცა ვერაფერს ვერ ნახავს.

ლოტკინის გორა — დასახლებულია მოქალაქეებით, რომლებსაც წყალთა მეურნეობის სამმართველო ეკლესია ჰგონიათ, და წარამარა შეპლალადებენ: მოწყალება მოიღეთ, ცივი წყლით გვაზიარეთო.

მახათას მთა — უსაქმურების მთა არ გეგონოთ.

მამა დავითი — იგივე პარნასი. ციცაბო კალთები აქვს, ოქროსწვერიანი წერაყინებით ათასობით აღიან, მაგრამ უმეტესად აბრეშუმის ქიასავით ცვივიან. ვინც ავა, აღარ ჩამოვა.

ნარიყალა — ერთ დროს თბილისის იცავდა, ახლა თბილისი იცავს.

რუსთავი — თბილისის შვილობილი, რომელიც მალე შეუერთდება თბილისს. მიღებულ ნაერთს დაერქმევა თბილი რუსთავი. მეცნიერებს გაუჩნდებათ ახალი ლუკმა. დაიწყება მტკიცება, რომ ამ მიდამოებში თბილი რუს სათავე იყო და ამ ქალაქის სახელწოდება სწორედ იქიდან წარმოიშვაო. ზოგი იტყვის ეს რუ მტკვარიაო, ზოგი, ვერ მოგართვეს, ვერაო. დაიწყება დისკუსიები და რუსთველოლოგიის პარალელურად ჩამოყალიბდება მეცნიერების ახალთახალი დარგი — თბილი რუსთაველოლოგია.

ფუნიკულორი — ახვალ და ჩამოსვლა რომ არ გინდა, მაგრამ, როცა მოგინდება, რომ ველარ ეღირსები.

შავნაბადა — ნაბადი უძველესი ქართული მოსახლამია, ჩვენმა წინაპრებმა მთებისაგან გადმოიღეს.

შეადგინა მ. ქარჩავამ

ღეგუშები წარსულიდან

მეცნიერებათა აკადემიას

გილთფავთ კანდიდატობის არმიას. ჩვენ ხომ ერთი ასპირანტი არ გვყავდა.

გელათის, გრემისა და იყალთოს აკადემიები.

თელასს

თქვენი ნათელი ჰაერბრუნ ჩემს ქალაქს უკუნითი უკუნიცხმდე. აბინ!

ანტონ კათალიკოსი

სამტრეხტს

გწუხვარ, რომ ახალი მარჯის ქართული ღვინოებით ვერ დავითვრება.

ომარ ხაიამ

მწიკრალთა კავშირს

თბილისზე ლექსი არ დაშიწვრია. თქვენ იცით, თუ სიტყვებიდან გაშთიყვანთ.

რუსთაველი


წანეთელ თბილისელებს

თქვენად მძინდა. წყნოთსა და თბილისს შორის კონტრაქტი დადგარბულიყო.

მაია წყნეთელი

ღეგუშების ტექსტი მიიღო და გაშიფრა:

ჰარი ჰარალიშვილმა



— გორგასალზე ამბობენ იალბუზზე შედგაო ფეხი, მე მგონო, აქ ახვლა არ გაუჭირდება.

რედაქტორი — ელგუჯა მადრაძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში. ს. ფაშალიშვილი, თ. ქელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 2-18-29.

გამომც. № 19. ბელმოწ. დასაბ. 24/IX-1958 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8. 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ზეგვ. № 1018. უგ 02484. ტირ. 40.000.

